42261-01-3-202012041517

№ 42261-01; 04/12/2020

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ვის:	საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ **დავით ზალკალიანს**
ვისგან:	შიდა აუდიტის დეპარტამენტის დირექტორის **გიორგი თვალავაძისგან**
თარიღი:	04.12.2020
საკითხი:	დისციპლინური წაროების დაწყების შესახებ
მოამზადა:	შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს უფროსმა **თამარ სამადაშვილმა**

<u>არსებული მდგომარეობა:</u>

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 4 დეკემბერს, თქვენი რეზოლუციით, შემდგომი რეაგირებისათვის, შიდა აუდიტის დეპარტამენტს დაეწერა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სოფიო ქაცარავას N42153-22 წერილი, რომელიც შეეხება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩევლის გიორგი ფანიაშვილის მხრიდან სამსახურებრივ მოვალეობებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

აღნიშნულ წერილში მოყვანილი გარემოებების შესწავლის, აგრეთვე შესაძლო დარღვევების გამოვლენის მიზნით, მიზანშეწონილია დაიწყოს დისციპლინური წარმოება, მით უფრო, როცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „მოხელის ან ყოფილი მოხელის განცხადება დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე“- წარმოადგენს დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ- ერთ საფუძველს.

<u>რეკომენდაცია:</u>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გთხოვთ დაავალოთ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამავე კანონის 88-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ბრძანების მომზადება, რათა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს თანამშრომლის მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის, სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის ფაქტზე, დაიწყოს დისციპლინური წარმოება.

პატივისცემით,
გიორგი თვალავაძე

დეპარტამენტის დირექტორი